

ქმედებები/პასუხები გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ზუგდიდის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის გზშ-ის დოკუმენტაციაზე მოწოდებულ შენიშვნებთან დაკავშირებით

	შენიშვნა	ქმედება/პასუხისმგებლობა/პასუხი
1.	<p>ბუნდოვანია გზშ-ის ანგარიშის მე-2 გვერდზე მოცემული ჩანაწერი წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე პასუხისმგებლობის შესახებ. გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გზშ-ის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორისა და დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო რელევანტური ინფორმაციის წარმოდგენისთვის პასუხისმგებელია საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი;</p>	<p>აღნიშნული ჩანაწერის (პასუხისმგებლობის უარყოფის) მიზანია გაათავისუფლოს კონსულტანტი პასუხისმგებლობისგან, რომელიც გამოწვეულია მესამე მხარის მიერ მოწოდებული არასწორი ინფორმაციით. მაგალითად, თუ კონსულტანტის შეფასება ეფუძნება სხვა მხარეების მიერ ჩატარებული კვლევებიდან მიღებულ მონაცემებს და მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ ამ კვლევების შედეგები არასწორი იყო, კონსულტანტი არ არის პასუხისმგებელი შესაბამის შედეგებზე. სხვა მხრივ, კონსულტანტი სრულ პასუხისმგებლობას იღებს გზშ-ის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული რელევანტური ინფორმაციის წარდგენაზე.</p>
2.	<p>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ნარჩენების განთავსების ობიექტის საერთო ფართობია 16.691 ჰა. არსებული ნაგავსაყრელი მთლიანი ფართობი 4.5 ჰექტარს მოიცავს. ამრიგად, დაახლოებით 12.491 ჰა ხელმისაწვდომია „ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტისთვის“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ნაგავსაყრელის ფართობის შესახებ;</p>	<p>შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 43.26.42.004; შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილია XIV დანართში) ფართობი შეადგენს 16.691 ჰექტარს, საიდანაც არსებული ნაგავსაყრელის ნარჩენების განთავსების უჯრედი 5.0651 ჰექტარზეა განთავსებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის“ მოსაწყობად 11.6259 ჰექტარია ხელმისაწვდომი, საიდანაც ნარჩენების განთავსების უჯრედებს დაეთმობა 7.2018 ჰექტარი; ინფრასტრუქტურას (შიდა გზები, გვერდითი ფერდები და სხვ.) - 2.9141 ჰექტარი; ხოლო შესასვლელ ტერიტორიას - 1.51 ჰექტარი.</p>
3.	<p>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ახალი ნარჩენების განთავსების უჯრედებისთვის მთლიანობაში საჭირო იქნება 8.9 ჰა ტერიტორია. ამასთან ცხრილში 3.5 მოცემულია ახალი უჯრედების ფართობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც</p>	<p>წარმოგიდგინთ ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის უჯრედების მოცულობებს და ზედაპირის ფართობებს პროექტის საბოლოო, დეტალური დიზაინის შესაბამისად:</p>

<p>შეადგენს 79 000 მ². შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს უჯრედებისთვის გამოყოფილი ფართობის შესახებ ინფორმაცია; გარდა ამისა, წარმოდგენილი shp ფაილის მიხედვით, უჯრედების მიახლოებითი ფართობები შემდეგია: უჯრედი 1 – 37 672 მ², უჯრედი 2 – 15037 მ², უჯრედი 3 – 6425 მ² და უჯრედი 4 – 20929 მ². ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია უჯრედების ფართობის შესახებ არ ემთხვევა shp ფაილებს. ფართობთან ერთად აუცილებელია მოცულობებთან დაკავშირებული ინფორმაციის კორექტირება. ამასთან გენგეგმაზე გაურკვეველია მე-4 უჯრედის კონტურები, ვინაიდან მე-4 უჯრედის ნაწილი მოიცავს/გადაფარვას არსებულ ნაგავსაყრელთან. შესაბამისად, კორექტირებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი, გენგეგმა და shp ფაილი. არსებულ ნაგავსაყრელთან დაკავშირებით წარმოდგენილია მხოლოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი და შესაბამისი დახურვისა და შემდგომი მოვლის გეგმა არ ახლავს;</p>	<p>უჯრედი 1 - მოცულობა : 490,000 მ³; ზედაპირის ფართობი 43,804 მ² უჯრედი 2 - მოცულობა: 360,000 მ³; ზედაპირის ფართობი 17,108 მ² უჯრედი 3 - მოცულობა: 195,000 მ³; ზედაპირის ფართობი 11,106 მ² უჯრედი 4 - მოცულობა: 420,000 მ³; ზედაპირის ფართობი 49,651 მ². აღნიშნული მე-4 უჯრედი განთავსდება ნაწილობრივ არსებული ნაგავსაყრელის ზემოდან, ხოლო ნაწილობრივ ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ზემოდან, როგორც ნაჩვენები იყო გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ V დანართში წარმოდგენილ სქემაზე. ამრიგად, მე-4 უჯრედი არ დაიკავებს დამატებით მიწის ტერიტორიას, რადგან ის არსებული უჯრედების ზემოდან განთავსდება.</p> <p>ობიექტზე განსათავსებელი ნარჩენების მთლიანი მოცულობაა: 1,465,000 მ³; ნარჩენების განთავსებისთვის გამოსაყენებელი ზედაპირის ფართობი - 72,018 მ². ნარჩენების განთავსების ახალი ობიექტისთვის გამოყოფილი მთლიანი ფართობია 116,259 მ², რაც მოიცავს ნარჩენების განთავსების უჯრედებს, ინფრასტრუქტურული ობიექტებისთვის (მაგ. შიდა გზები და გვერდითი ფერდები) გამოყოფილ ტერიტორიას და შესასვლელ ტერიტორიას.</p> <p>თანდართულია კორექტირებული გენგეგმა (I დანართი).</p> <p>თანდართულია კორექტირებული Shp ფაილები (XV დანართი).</p> <p>თანდართულია ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის დახურვისა და შემდგომი მოვლის გეგმა (XI დანართი).</p>
<p>4. „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №421 დადგენილების თანახმად, ნაგავსაყრელის სასიცოცხლო ციკლი</p>	<p>გზშ-ის ანგარიშში მითითებული პერიოდი - 20 წელი (2023-2042) გულისხმობს მხოლოდ ოპერირების ფაზას, მონიტორინგის და კონტროლის ჩათვლით. დახურვისა და შემდგომი მოვლის პერიოდი დაიწყება ობიექტის ოპერირების დასრულების შემდეგ და</p>

<p>არის დროის მონაკვეთი ნაგავსაყრელის მოწყობიდან ნაგავსაყრელის დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლის ჩათვლით. გზშ-ის ანგარიშში მითითებულია სასიცოცხლო ციკლი 20 წელი (2023-2042). ამასთან გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნაგავსაყრელის პროექტი შემუშავებულია ევროკავშირის ნაგავსაყრელის დირექტივის 1999/31/EC მიხედვით. ვინაიდან, აღნიშნული დირექტივა ითვალისწინებს ნაგავსაყრელის დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ ინფორმაციას, რომელიც უნდა შეადგენდეს სულ მცირე 30 წელს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნდოვანია ნაგავსაყრელის სასიცოცხლო ციკლის შესახებ ინფორმაცია და დაზუსტებას და შესაბამის დასაბუთებას საჭიროებს როგორც ნაგავსაყრელის სასიცოცხლო ციკლი, ასევე შესაბამისი ფაზები (მათ შორის ოპერირების, მონიტორინგის და კონტროლის და დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლის);</p>	<p>გაგრძელდება მანამ, სანამ მონიტორინგის შედეგებით არ დადასტურდება, რომ არ არსებობს შემდგომი რისკები გარემოსთვის. აღნიშნული პერიოდი, როგორც წესი, 20-30 წელი გრძელდება. ამ ფაზაში ნარჩენების განთავსების ობიექტზე ეტაპობრივად შემცირდება ნარჩენების განთავსების ობიექტზე წარმოქმნილი აირის და გამონაჟონის წარმოქმნა. ობიექტის საკონტროლო სტრუქტურების, როგორცაა ზედა საიზოლაციო სისტემა, მთლიანობა რეგულარულად შემოწმდება და უზრუნველყოფილი იქნება მათი მოვლა-შენახვა დახურვისა და შემდგომი მოვლის მთელი პერიოდის განმავლობაში.</p>
<p>5. „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №421 დადგენილების თანახმად, წარმოდგენილი უნდა იქნეს: 1. ოპერირების, მონიტორინგის და კონტროლის გეგმა; 2. ნაგავსაყრელის დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლის გეგმა. თქვენ მიერ წარმოდგენილია გეგმა გაერთიანებული სახით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული გეგმები ცალ-ცალკე და დეტალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ზემოაღნიშნული დადგენილებით მოთხოვნილი საკითხები.</p>	<p>მოთხოვნის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აღნიშნულ გეგმებს ცალ-ცალკე. კერძოდ: II დანართში წარმოდგენილია ზუგდიდის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ოპერირების, მონიტორინგისა და კონტროლის გეგმა, ხოლო III დანართში - დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლის გეგმა.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის დახურვის შემდეგ არ იგეგმება რომელიმე აშენებული ობიექტის მისი შემადგენელი ერთეულების (შენობა-ნაგებობების) დემონტაჟი.</p>
<p>6. „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №421 დადგენილების თანახმად, წარმოდგენილი უნდა იქნეს</p>	<p>წარმოგიდგენთ ობიექტის უჯრედების სიმაღლეებს (უჯრედების ზედა და ქვედა დონეების სიმაღლეები, რომლებიც ათვლილია ზღვის დონიდან):</p>

	<p>ცალკეული უჯრედის საპროექტო სიმაღლის შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>უჯრედი 1 – სიმაღლე: 28 მ (ზედა დონე 47 მ-ზე – ქვედა დონე 19.20 მ-ზე) უჯრედი 2 – სიმაღლე: 28 მ (ზედა დონე 47 მ-ზე – ქვედა დონე 19.18 მ-ზე) უჯრედი 3 – სიმაღლე: 23 მ (ზედა დონე 41 მ-ზე – ქვედა დონე 18.10 მ-ზე) უჯრედი 4 – სიმაღლე: 17 მ (ზედა დონე 35 მ-ზე – ქვედა დონე 18.00 მ-ზე)</p>
<p>7.</p>	<p>ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების პროექტის ცხრილში 6.1. წლების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე და საჭიროებს კორექტირებას;</p>	<p>გთხოვთ, იხილოთ ჩასწორებული ზ.დ.ჩ.-ის ნორმები, გვ. 17, ცხრილი 6.1 (VI დანართი).</p>
<p>8.</p>	<p>„ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №421 დადგენილების თანახმად, ნაგავსაყრელის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს საჭირო ტექნიკისა და პერსონალის არსებობა ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიის დასასუფთავებლად ნაგავსაყრელიდან ან ნარჩენების გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებებიდან ნარჩენებით დანაგვიანების შემთხვევაში. წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანების შემთხვევაში დასუფთავებისთვის შესაბამისი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>მიმდებარე ტერიტორიის საჭიროებისამებრ დასუფთავების მიზნით, გამოყოფილი იქნება 6 თანამშრომელი, რომლებიც ყოველდღიურად განახორციელებენ მიმდებარე ტერიტორიის მონიტორინგს. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ნარჩენების შესაგროვებლად საჭირო სათანადო მოწყობილობებით და ასევე, პერსონალური დაცვის საშუალებებით. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია იზრუნებს ობიექტის მიმდებარე ტერიტორიების სისუფთავეზე.</p>
<p>9.</p>	<p>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მიმდებარე ტერიტორიები გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის, როგორც ნათესებისთვის, ასევე საძოვრად. ცხრილში 5.1 წარმოდგენილია პოტენციური მგრძობიარე რეცეპტორების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მიმდებარე ტერიტორიების</p>	<p>გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 8.1, გვ. 214-220 (თავი 8.4.1 გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებები) აღწერილია სხვადასხვა სახის ზემოქმედება ობიექტის მიმდებარე მიწაზე და წყალზე, ასევე, შემარბილებელი ღონისძიებები და ნარჩენი ზემოქმედება. მათ შორის, აღწერილია ნარჩენების</p>

	<p>მესაკუთრეების შესახებ. დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია აღნიშნულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შესახებ და შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების საჭიროების საკითხი;</p>	<p>გამონაჟონით, საწვავის/ზეთების დაღვრით გამოწვეული დაბინძურება (ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ), მიწისქვეშა წყლების დაბინძურება გამონაჟონით (ზემოქმედება მცირე იქნება შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ), გამწმენდი სისტემიდან გამოსული გამონაჟონის ინფილტრაცია მიწისქვეშა წყლებში (ზემოქმედება მცირე იქნება შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ), გაჟონვა საწვავ-გასამართი სადგურიდან და ავზიდან (ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ), ქარის მიერ გაფანტული ნარჩენებით გამოწვეული ზემოქმედება (ზემოქმედება მცირე/უმნიშვნელო იქნება შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ). ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობის და ექსპლუატაციის შედეგად არ არის მოსალოდნელი მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწების მდგომარეობაზე ზემოქმედება იმის გათვალისწინებით, რომ განხორციელებული იქნება დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები. უფრო მეტიც, არსებული ზუგდიდის ნაგავსაყრელის დახურვის შემდგომ, მოსალოდნელია საერთო არსებული გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესება. ობიექტის მიმდებარედ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება არსებული მდგომარეობა.</p>
<p>10</p>	<p>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, გამონაჟონის მოცულობა და შემადგენლობა გაკონტროლდება კვარტალურად ოპერირების ფაზაში. გაცნობებთ, რომ „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №421 დადგენილების თანახმად, გამონაჟონის მოცულობა – ოპერირების ეტაპზე - უნდა განხორციელდეს - თვეში ერთხელ. შესაბამისად,</p>	<p>გამონაჟონის მოცულობის მონიტორინგი განხორციელდება თვეში ერთხელ. შესაბამისი შესწორება შეტანილია თანდართულ ზუგდიდის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ოპერირების, მონიტორინგისა და კონტროლის გეგმაში (II დანართი, გვ. 35).</p>

	<p>დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას და კორექტირებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი;</p>	
<p>11.</p>	<p>„ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №421 დადგენილების თანახმად, „გეომემბრანის სინთეტიკური მასალა (მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პოლიპროპილენი და სხვ.), უნდა იყოს არანაკლებ 2 მმ სისქის, 4 მ სიგანის და უნდა ჰქონდეს შემდეგი თვისებების გლუვი ან უხეში ტექსტურა...“ გზშ-ის ანგარიშში მითითებულია მხოლოდ გეომემბრანის სისქე (HDPE, 2,5 მმ), ამასთან ცხრილში 2 (ობიექტის სტრუქტურული ერთეულები, მათი ფუნქციები და მახასიათებლები) მითითებულია - 2.0 მმ-იანი HDPE გეომემბრანა. შესაბამისად, დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას და კორექტირებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი;</p>	<p>ნარჩენების უჯრედების ქვედა საიზოლაციო სისტემის შემადგენელია მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის (HDPE) გეომემბრანა, სისქით 2.5 მმ და არანაკლებ 4 მ სიგანით.</p> <p>რაც შეეხება მითითებას მე-2 ცხრილში - „ობიექტის სტრუქტურული ერთეულები, მათი ფუნქციები და მახასიათებლები“ მოცემულ ინფორმაციაზე, აღნიშნული შეეხება გეომემბრანას, რომლითაც დაფარულია გამონაჟონის ავზი. მისი სისქეა 2 მმ და არანაკლებ 4 მ სიგანით (აღნიშნული ცხრილი წარმოდგენილია ობიექტის ოპერირების, მონიტორინგის და კონტროლის გეგმაში).</p> <p>მოცემული ნარჩენების განთავსების ობიექტის ქვედა საიზოლაციო სისტემის დიზაინი შესაბამისობაშია „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის #421 დადგენილებასთან (კერძოდ, მე-15 - მე-20 მუხლების მოთხოვნებთან). რიგ შემთხვევებში, პროექტი ითვალისწინებს უფრო მკაცრ მოთხოვნებს, მაგ., გეომემბრანის შემთხვევაში, რომლის სისქეა 2.5 მმ დადგენილებით განსაზღვრული 2 მ-ის ნაცვლად. #421 დადგენილების შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკაციები შეტანილი იქნება ობიექტის სამშენებლო კომპანიის სატენდერო დოკუმენტაციაში. კერძოდ, ყველა პარამეტრი შესაბამისობაში იქნება ხელოვნური საიზოლაციო ფენის (გეომემბრანის) შესახებ მე-18 მუხლის მოთხოვნებთან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ხელოვნური საიზოლაციო ფენა (გეომემბრანა) გათვალისწინებული უნდა იყოს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებისთვის. 2. ხელოვნური საიზოლაციო ფენა:

		<p>ა) უნდა ფარავდეს მინერალური გადახურვისა და ბუნებრივი ფსკერის დაწვეით გამოწვეულ დეფორმაციებს;</p> <p>ბ) მინერალურ საფართან და ბუნებრივ ფსკერთან ერთად უზრუნველყოფს გეოლოგიური ბარიერისა და მიწისქვეშა წყლების დაცვას გაჟონვისაგან და ნარჩენებიდან წარმოქმნილი გამონაჟონის მათში მოხვედრისაგან;</p> <p>გ) უნდა იყოს ქიმიურად მდგრადი ნარჩენებიდან წარმოქმნილი გამონაჟონის ზემოქმედების მიმართ.</p> <p>3. ხელოვნური საიზოლაციო ფენის შესაქმნელად გამოყენებული გეომემბრანის სინთეტიკური მასალა (მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პოლიქროლვინილი და სხვ.), უნდა იყოს არანაკლებ 2 მმ სისქის, 4 მ სიგანის და უნდა ჰქონდეს შემდეგი თვისებების გლუვი ან უხეში ტექსტურა:</p> <p>ა) სიმტკიცე ჰიმვაზე 23 C ტემპერატურის პირობებში მეტია ან ტოლია 400 N;</p> <p>ბ) სიმტკიცე ჰიმვაზე 70°C ტემპერატურის პირობებში მეტია ან ტოლი 23°C ტემპერატურის პირობებში ჰიმვაზე სიმტკიცის 0.25-ის;</p> <p>გ) 50 მმ სიგანის ზოლების გაჭიმვის უნარი მეტია 5%-ზე;</p> <p>დ) მდგრადობა წერტილოვანი წყაროების ზემოქმედების მიმართ. დაცემის მაქსიმალური სიმაღლე, რა დროსაც არ ხდება გეომემბრანაში შეღწევა, უნდა იყოს 750 მმ-ზე მეტი წერტილოვანი წყაროს ზემოქმედების ადგილში 500 გ. დატვირთვის დროს;</p> <p>ე) გეომემბრანის ცალკეული პანელების შედუღების ფიზიკური სიმტკიცე უნდა იყოს მასალის სიმტკიცის 90%-ზე მეტი ნაწილობრივ კრისტალიზებად პოლიმერებში და არანაკლებ 60% ამორფული პოლიმერების შემთხვევაში;</p> <p>ვ) გამონაჟონის ზემოქმედების შემთხვევაში წონის არაუმეტეს 15%-ის დაკარგვა და ფიზიკური თვისებების არაუმეტეს 25%-ის შემცირება;</p> <p>ზ) ნარჩენების მასიდან წარმოქმნილი აირების ზემოქმედების შემთხვევაში ფიზიკური თვისებების არაუმეტეს 20%-ის შემცირება;</p>
--	--	--

		<p>თ) მიკროორგანიზმების ზემოქმედების შემთხვევაში წონის არაუმეტეს 5%-ის დაკარგვა და ფიზიკური თვისებების არაუმეტეს 15%-ის შემცირება;</p> <p>ი) მდგრადი ფესვების შეღწევის მიმართ;</p> <p>კ) მდგრადი მღრღნელების შეღწევის მიმართ.</p>
<p>12.</p>	<p>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, „ყველა არასახიფათო მყარი ნარჩენი მიიღება No426 ტექნიკური რეგლამენტის დანართების შესაბამისად“. გაცნობებთ, რომ ნაგავსაყრელზე ნარჩენების მიღების პროცედურა და კრიტერიუმები დადგენილია „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით, ხოლო საქართველოს მთავრობის N426 დადგენილება ეხება ნარჩენების კლასიფიკაციას;</p>	<p>ზუგდიდის ახალ რეგიონულ არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტზე ნარჩენების მიღების კრიტერიუმები შესაბამისობაშია „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის #421 დადგენილებასთან, ხოლო ობიექტზე მისაღები ნარჩენების კოდები (VIII დანართი) წარმოდგენილია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის #426 დადგენილების შესაბამისად.</p>
<p>13.</p>	<p>კორექტირებას საჭიროებს ასევე მდინარის დასახელება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ზოგან მითითებულია უმჩარა/უთუორი, ზოგან - მდ. უმჩარა/უტორი. როგორც სკოპინგის დასკვნითაც გეცნობათ, ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს გაედინება მდინარე უმჩარა, ხოლო მდინარე უტორის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.</p>	<p>დოკუმენტში გამოყენებულია მდინარის ორივე სახელწოდება - უმჩარა/უთუორი (უმჩარა - როგორც მდინარე იძებნება ელექტრონულ ბაზებში და უთუორი - რომელსაც იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა. 'უმჩარა/უტორი' შეცდომით არის გამოყენებული ერთ ადგილას გზშ-ს დოკუმენტში (კერძოდ, ცხრილში 5.14), მის ნაცვლად უნდა იყოს უმჩარა/უთუორი.</p>
<p>14.</p>	<p>გზშ-ის ანგარიშში კულტურულ მემკვიდრეობაზე ზეგავლენის შეფასებას ეთმობა მხოლოდ ერთი აბზაცი (ქვეთავი 5.13.2), სადაც აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე, ან მის მახლობლად „არ არის აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილები“. გასათვალისწინებელია, რომ პროექტის მიხედვით ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) საერთო ფართობია 16,691 ჰა, საიდანაც არსებული ნაგავსაყრელის ფართობია 4,5 ჰა. შესაბამისად 12</p>	<p>მოთხოვნის შესაბამისად, განხორციელდა არქეოლოგიური კვლევა, რომლის საფუძველზეც სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ იქნა დასკვნა. დასკვნა და არქეოლოგიური კვლევის ანგარიში წარმოდგენილია IX დანართში.</p>

	<p>ჰექტარზე მეტი ფართობი ეთმობა ახალ ობიექტს, სადაც უნდა განთავსდეს ნარჩენების უჯრედები და შენობა-ნაგებობები, თუმცა წარმოდგენილ ანგარიშში ახალი ნაგავსაყრელის მოწყობისთვის საჭირო მიწის სამუშაოების პროცესში უცნობი არქეოლოგიური ობიექტების შემთხვევითი გამოვლენის რისკები საერთოდ არ არის შეფასებული;</p>	
<p>15.</p>	<p>„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სააგენტო, შესაბამისი ტერიტორიის კვლევის საფუძველზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს მიწის სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული პირი, ამზადებს შესაბამის დასკვნას, აღნიშნულიდან გამომდინარე არასახიფათო ნარჩენების განთავსების (ნაგავსაყრელის) სამშენებლო ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, კვლევის ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი დასკვნის მოსამზადებლად. აღნიშნულის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში;</p>	<p>მოთხოვნის შესაბამისად, განხორციელდა არქეოლოგიური კვლევა, რომლის საფუძველზეც სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ იქნა დასკვნა. დასკვნა და არქეოლოგიური კვლევის ანგარიში წარმოდგენილია IX დანართში.</p>
<p>16.</p>	<p>შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მდინარე უთუორი, წარმოადგენს კომპანიის კაპიტალში რიცხულ წყალმიმღებ კოლექტორს, რომელიც უზრუნველყოფს მისი წყალშემკრები აუზის ტერიტორიიდან ჭარბი წყლის გაყვანას. მისი გასხვისების ზოლი შეადგენს 10-10 მეტრს ორივე მხარეს, რომლის დაცვაც აუცილებელია საექსპლუატაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ასევე აუცილებელ პირობად მიაჩნია ამჟამად დაკავებული გასხვისების ზოლის გათავისუფლება. ამასთან კომპანიასთან უნდა შეთანხმდეს გამონაჟონი წყლის ჩაშვების ადგილი და მოწყობის კვანძის პროექტი. აღნიშნულ მდინარეს/კოლექტორს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს საქონლის</p>	<p>აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ მიმართა შპს „საქართველოს მელიორაციას“, რის საფუძველზეც შეთანხმდა გამონაჟონის წყლის ჩაშვების ადგილი და მოწყობის კვანძის პროექტი. ასევე დადგინდა, რომ მდინარე უთუორის გასხვისების ზოლი დღევანდელი მდგომარეობით არ არის დაკავებული „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ და არც სამომავლოდ იგეგმება კომპანიის მიერ მისი დაკავება. კომუნიკაცია შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ წარმოდგენილია X დანართში.</p>

<p>დასარწყულეზად და სათეზზაოდ, რის გამო მასში დაბინძურებული წყლის ჩაშევა დაუშეველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიას მიაჩნია, რომ ნაგავსაყრელიდან მდ. უთუორში ჩაშეველ წყლის ხარისხზე უნდა განხორციელდეს მკაცრი კონტროლი. აღნიშნული საკითხების შესახებ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფორმაცია;</p>	
<p>17. გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ პროექტირებისას განხორციელდა გეოტექტონიკური კვლევები, თუმცა არ არის წარმოდგენილი ჩატარებული გეოტექტონიკური კვლევების ანგარიში;</p>	<p>გეოტექტონიკური კვლევის ანგარიში წარმოდგენილია IV დანართში.</p>
<p>18. საპროექტო ტერიტორიის შესაძლო დატბორვის რისკების შეფასებისთვის წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაცემები მდინარე უმჩარა/უთუორის მაქსიმალური ხარჯებისა და შესაბამისი დონეების შესახებ. გარდა ამისა ანგარიშსა და თანდართულ ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშეველ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშევი ჩაშევის (ზდჩ) ნორმების პროექტში მდინარე უმჩარას/უთუორის ჰიდროლოგიური მონაცემები არ შეესაბამება ერთმანეთს და საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯია 0,20 მ³, ხოლო ზდჩ-ის პროექტში - 0,09 მ³.</p>	<p>წარმოგიდგენთ, წყალდიდობების რისკის შეფასების ანგარიშს V დანართში.</p> <p>რაც შეეხება შენიშვნის მეორე ნაწილს, იმის თაობაზე, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ „ზდჩ“-ის ნორმების პროექტში მდინარე უმჩარას/უთუორის ჰიდროლოგიური მონაცემები არ შეესაბამება ერთმანეთს, კერძოდ, მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯი გზშ-ის ანგარიშში მითითებულია როგორც 0.20 მ³, ხოლო ზდჩ-ის პროექტში, როგორც 0.09მ³ მოგახსენებთ, რომ უზუსტობა გამოწვეული იყო იმით, რომ ზდჩ-ის პროექტში საანგარიშო ხარჯი - 0.09მ³ შეცდომით იყო მითითებული როგორც საშუალო მრავალწლიური ხარჯი, როცა ის წარმოადგენს მყისიერ ხარჯს. გამომდინარე იქედან, რომ 2021 წლის 10 თებერვალს ჩატარებული მდინარის ჰიდროლოგიური კვლევის დროს მდინარის გაზომილი ხარჯი აღმოჩნდა მნიშვნელოვნად ნაკლები (0,09 მ³/წმ) თეორიული გამოთვლების საფუძველზე დადგენილ საშუალო მრავალწლიურ ხარჯთან (0,02 მ³/წმ) შედარებით (იხ. ცხრილი 7.1 22-23-ე გვერდზე ზდჩ-ის ნორმების პროექტში), მდინარის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოცემული პროექტისათვის საანგარიშო</p>

		<p>ხარჯად აღებულ იქნა მყისიერი ხარჯი (0,09მ³/წმ), რაც უზრუნველყოფს ზღვრულად დასაშვები ჩაშვების უფრო მკაცრი პირობების დადგენას (შესაბამისი დასაბუთება წარმოდგენილია 46-ე გვერდზე ზდჩ-ის ნორმების პროექტში). შესაბამისად კორექტირებული ზდჩ-ის პროექტი წარმოდგენილია VI დანართში.</p>
19.	<p>წარმოდგენილი უნდა იქნეს ხმის რეპელენტების (ფრინველთა დამაფრთხობლების) შესახებ დეტალური ინფორმაცია;</p>	<p>გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხმის რეპელენტები გამოყენებული იქნება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.</p> <p>ხმის რეპელენტების გამოყენება საჭირო არ იქნება ნარჩენების განთავსების ობიექტის სათანადო ოპერირების შემთხვევაში.</p> <p>ხმის რეპელენტების მოწყობილობების მაგალითები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ობიექტზე, წარმოდგენილია XII დანართში.</p>
20.	<p>გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ მონიტორინგის გეგმაში ასახული უნდა იყოს ცხოველთა, მათ შორის ფრინველთა ბუდეების/ საბინადრო ადგილების, საპროექტო ტერიტორიაზე არსებობა/მათ ხელყოფაზე დაკვირვების საკითხები. ასევე, მონიტორინგის გეგმაში უნდა აისახოს სააგენტოსთან ანგარიშების საკითხები;</p>	<p>“ზუგდიდის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ოპერირების, მონიტორინგისა და კონტროლის გეგმაში (დანართი II) 37-ე გვერდზე დამატებულია თავი 5.2.5 ‘ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი’, სადაც გათვალისწინებულია ობიექტის სიახლოვეში ცხოველების არსებობაზე ვიზუალური დაკვირვების საკითხები. ასევე, მე-40 გვერდზე დამატებულია თავი 5.6 ‘ანგარიშგება’, სადაც გათვალისწინებულია ანგარიშების საკითხები გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის განხორციელების შესახებ და ნებისმიერი მაკორექტირებელი ღონისძიების შესახებ.</p>
21.	<p>ექსპლუატაციის ეტაპის მონიტორინგის გეგმაში უნდა აისახოს შემარბილებელი ღონისძიებების (განსაკუთრებით ფრინველთა დამაფრთხობლებზე და ნარჩენის მიწის ფენით ყოველდღიურ გადაფარვაზე) ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;</p>	<p>შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობა შეფასდება და შედეგები შეტანილი იქნება გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშებში. საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელ ღონისძიებებში შეტანილი იქნება ცვლილებები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზემოქმედება დარჩეს მცირე</p>

		<p>მნიშვნელობის. აღნიშნული შეტანილია “ზუგდიდის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ოპერირების, მონიტორინგისა და კონტროლის გეგმაში“ (დანართი II), მე-40 გვერდზე, თავში 5.5 ‘განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება და იმავე გვერდზე, თავში 5.6 ‘ანგარიშგება’.</p>
<p>22.</p>	<p>გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტში წარმოდგენილია გაწმენდილი გამონაჟონი წყლების ჩაშვების ერთი წერტილის GPS კოორდინატები, თუმცა გზშ-ის ანგარიშსა და ზდჩ-ს პროექტში წარმოდგენილ გენ-გეგმაზე ასახულია ჩაშვების ორი წერტილი, ამასთან არ არის მოცემული ჩაშვების მეორე წერტილის GPS კოორდინატები. ასევე ზდჩ-ს პროექტში წარმოდგენილ გენგეგმაზე მითითებულია, გაურკვეველი ჩანაწერი „ზუგდიდის ნაგავსაყრელის სიტუაციური გეგმა ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის დატანით შესასწორებელია დაზუსტებული კოორდინატების მიხედვით“. დაზუსტებული უნდა იყოს ჩაშვების წერტილები შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით;</p>	<p>ზდჩ-ის ნორმების პროექტში კორექტირებულია გაწმენდილი გამონაჟონის ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X: 727794.02 Y: 4698255.32</p> <p>ასევე, კორექტირებულია გზშ-ის ანგარიშში მოცემული გენგეგმა (დანართი I) და ზდჩ-ის პროექტში წარმოდგენილი გენგეგმა (დანართი VI).</p>
<p>23.</p>	<p>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ტექნიკური წყალი შესაბამის შენობებს/სექციებს მიეწოდება მიწისქვეშა წყლის ჭაბურღილისა და მასთან დაკავშირებული წყლის ავზის მეშვეობით, რომელიც აშენდება სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე. ანგარიშში წარმოდგენილი არ არის სავარაუდო სიღრმე, ავზის მოცულობა და ჭაბურღილის/ავზის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები;</p>	<p>წარმოგიდგენთ ინფორმაციას მიწისქვეშა წყლის ჭაბურღილისა და მასთან დაკავშირებული ავზის შესახებ:</p> <p>ჭის სიღრმე: 40 მ ავზის მოცულობა: 18.5 მ³ მდებარეობა: წყალმომარაგების ჭა, მიწისქვეშა წყლის სატუმბო სადგურის ჩათვლით, წყლის ავზი და წყლის სატუმბო სადგური განთავსებული იქნება შესასვლელის ცენტრალური ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში.</p> <p>ავზისა და ჭაბურღილის კოორდინატები:</p>

		<p>ქაბურღილი: X = 727652; Y = 4698200</p> <p>ავზი: X= 727672; Y = 4698202</p>
<p>24.</p>	<p>გზმ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ობიექტზე მოწყობა მძიმე ტექნიკის მანქანების ბენზინგასამართი სადგური. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია: ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობისათვის შესასრულებელი სამუშაოების შესახებ; ნავთობპროდუქტების შესანახი ავზების, სასუნთქი სარქველებისა და ჩამოსასხმელი სვეტების რაოდენობები, ტიპები, ავზების მოცულობები, მისაღები ნავთობპროდუქტების სახეობები და სავარაუდო რაოდენობები, ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტების განთავსების ადგილის გადახურვის საკითხები, ნავთობპროდუქტების შემკრები/გამწმენდი სისტემები და ა.შ. გარდა ამისა, ავტოგასამართი სადგურის მოწყობისა და ექსპლუატაციის შედეგად შეფასებული უნდა იქნეს გარემოს კომპონენტებზე (განსაკუთრებით ნიადაგზე და გრუნტის/მიწისქვეშა წყლებზე) ზემოქმედების საკითხები;</p>	<p>საწვავ-გასამართი სადგური განლაგებული იქნება შესასვლელის ჩრდილოეთით, მე-3 უჯრედამდე, მოასფალტებულ ტერიტორიასა და გამონაჟონის გამწმენდ ნაგებობას შორის. საწვავ-გასამართი სადგური საწვავით მოამარაგებს ობიექტზე მომუშავე მძიმე ტექნიკას, კერძოდ, ნარჩენების კომპაქტორს, ბორბლებიან სატვირთველს და ბულდოზერს. აღნიშნული ტექნიკა არ უნდა იქნეს გაყვანილი ობიექტის ტერიტორიიდან საწვავის შევსების მიზნით. ამიტომ გათვალისწინებულია საწვავ-გასამართის არსებობა ადგილზე. საწვავ-გასამართი შედგება ორი ნაწილისგან, საწვავის ავზი და საწვავის სვეტწრეტი. საწვავის ავზი 5,000 ლ მოცულობისაა და მიწის ქვეშ იქნება განთავსებული. ავზის გვერდით მოთავსდება სვეტწრეტი, საიდანაც მოხდება ტექნიკის საწვავით შევსება. ავზი განთავსდება იმგვარად, რომ ის მისაწვდომი იყოს საწვავის ტანკერებისთვის მოასფალტებული გზის საშუალებით, ავზის შევსების მიზნით.</p> <p>შესაბამისი ზემოქმედება უკვე გათვალისწინებულია გზმ-ის ანგარიშში და ზდგ-ის პროექტში. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნება საწვავის ავზის ორმაგი დაცვა, კერძოდ, მეტალის ავზი განთავსდება ბეტონის საცავში, რომლის ფსკერი და კედლები მოპირკეთებული იქნება სპეციალური დამცავი მასალით და გარდა ამისა, ავზი აღჭურვილი იქნება საწვავის დონის გასაზომი მოწყობილობით, არ არის მოსალოდნელი რომ დიზელის დაღვრის შედეგად დაბინძურდეს ნიადაგი ან მიწისქვეშა წყლები.</p> <p>ქვემოთ მოცემულია შემდგომი დეტალები:</p>

		<ul style="list-style-type: none"> • გადახურვა: საწვავ-გასამართი სადგური არ არის გადახურული • ნავთობპროდუქტების შესანახი ავზები: 1 მეტალის ავზი მოცულობით 5,000 ლ. ავზი განთავსდება ბეტონის სათავსში, რომლის ფსკერი და კედლები დამატებით მოპირკეთდება სპეციალური მასალით, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაჟონვა. ავზი აღჭურვილი იქნება საწვავის დონის გასაზომი მოწყობილობით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბეტონის საცავი და მასში მოთავსებული ავზი მთლიანად მიწის ქვეშ განთავსდება. • სასუნთქი სარქველები და სვეტწრეტები: 1 ჩამოსასხმელი სვეტწრეტი 10 მიკრონიანი ნაწილაკების ფილტრით. • საწვავად გამოყენებული იქნება დიზელი. საწვავის ავზის შევსება შესაძლოა მოხდეს თვეში ერთჯერ ან ორჯერ. შესაბამისად, ობიექტზე შესაძლოა მიღებულ იქნეს თვეში 5,000-10,000 ლ საწვავი. • ტექნიკის საწვავით შევსება განხორციელდება ბეტონის იატაკზე. შევსების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი მცირე გამონაჟონის შესაკავებლად გამოყენებული იქნება სპეციალური წვეთების შესაგროვებელი უჯრები. • ობიექტზე არ არის გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების შემკრები/გამწმენდი სისტემები გამომდინარე იქედან, რომ არ არსებობს მათი საჭიროება.
25	<p>გზ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის, მე-3 ნაწილის შესაბამისად, გზ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას. გარდა ამისა, 2020 წლის 20 ივლისის N67</p>	<p>ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა წარმოდგენილია XIII დანართში.</p>

	<p>სკოპინგის დასკვნაში მითითებული იყო, რომ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნეს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, სადაც ასევე, გათვალისწინებული იქნება ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია;</p>	
<p>26.</p>	<p>ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივ და ხარისხობრივი მაჩვენებლებში და გაანგარიშებებში (მათ შორის ზდგ-ის პროექტში) გათვალისწინებული უნდა იქნეს ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები;</p>	<p>საწვავ-გასამართი სადგურის ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები უკვე გათვალისწინებული იყო ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში. აღნიშნული გაფრქვევის წყარო აღწერილია 27-28-ე გვერდებზე, თავში 3.6 „ემისია დიზელის რეზერვუარიდან (გ-1)“ და გათვალისწინებულია შესაბამის გაანგარიშებებში. ზდგ-ის პროექტი თანდართულია VII დანართში.</p>
<p>27.</p>	<p>დამატებით გაცნობებთ, რომ „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 და „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №414 დადგენილებებში შეტანილი ცვლილებებით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმები თანხმდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზდგ და ზდჩ</p>	<p>ზდგ-ს და ზდჩ-ს დოკუმენტაციის სატიტულო ფურცლები კორექტირებულია აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად (იხ. VI და VII დანართები).</p>

	<p>დოკუმენტაციის სატიტულო გვერდები საჭიროებს შესაბამის კორექტირებას.</p>	
<p>28.</p>	<p>გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების კოდები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის მიხედვით.</p>	<p>ზუგდიდის ახალ არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტზე მისაღები ნარჩენების ნუსხა წარმოდგენილია VIII დანართში.</p>
<p>29.</p>	<p>გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვედა და ზედა საიზოლაციო სისტემების შესახებ დეტალური ინფორმაცია, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N421 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ მე-15 - 27-ე მუხლებით მოცემული თანმიმდევრობით და მოთხოვნების გათვალისწინებით.</p>	<p>ზუგდიდის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის დიზაინი სრულ შესაბამისობაშია „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის #421 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან, კერძოდ, დადგენილების მე-15 – 27-ე მუხლების მოთხოვნებთან. მათ შორის:</p> <p>ქვედა საიზოლაციო სისტემა ქვედა საიზოლაციო ფენა მოეწყობა როგორც ნარჩენების უჯრედის ფსკერის და გვერდითი ფერდების საფარი სისტემა. ქვედა საიზოლაციო სისტემა შრეების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლის სისქე საშუალოდ 0.50 მეტრია. სისქე ჰომოგენურია მთელი ზედაპირის გასწვრივ. ზუგდიდის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ქვედა საიზოლაციო სისტემა წარმოდგენილი იქნება შემდეგი ფენებით (ქვემოდან ზემოთ):</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვედა საფენი (შემავსებელი და გამყოფი გეოტექსტილი) • გაუმტარი მინერალური ფენა • გეომემბრანა • გეომემბრანის დამცავი ფენა (დამცავი გეოტექსტილი) • სადრენაჟე სისტემა (გამონაჟონის სადრენაჟე ფენა) <p>შუალედური ფენა არ არის გათვალისწინებული, რადგან ნარჩენების 1-ლი უჯრედი ექსპლუატაციაში შევა მშენებლობის დასრულებისთანავე.</p>

		<p><i>გაუმტარი მინერალური ფენა</i> გაუმტარი მინერალური ფენა შედგება კომპაქტირებული თიხის ფენისგან, რომელიც უნდა განთავსდეს ორ შრედ, თითოეული 25 სმ სისქით. მთლიანობაში გაუმტარი მინერალური ფენის სისქე უნდა იყოს მინიმუმ 0.50 მ, დამონტაჟების შემდეგ. გაუმტარი მინარელური ფენის წყალგამტარობის კოეფიციენტი უნდა იყოს 10^{-9} მ/წმ-ზე ნაკლები.</p> <p><i>გეომემბრანა</i> გეომემბრანა განთავსდება გაუმტარ მინერალურ ფენაზე და დამაგრდება გვერდითი ფერდების ზედა ნაწილზე. გეომემბრანა დამზადებული უნდა იყოს მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენისგან (HDPE). მისი მინიმალური სისქე იქნება 2.5 მმ. გვერდითი ფერდების დახრილობის კუთხე შესაფერისია გეომემბრანის გამოსაყენებლად (გლუვია ორივე მხრიდან).</p> <p><i>გეომემბრანის დამცავი ფენა (დამცავი გეოტექსტილი)</i> დამცავი გეოტექსტილი განთავსდება გეომემბრანის ზევიდან. გეოტექსტილის ფენის დანიშნულებაა გეომემბრანის დაცვა ნარჩენების მასის დაწოლისგან. დამცავი გეოტექსტილის ერთ-ერთი მთავარი პარამეტრია მასა/ფართობი, რომელიც შეირჩევა განთავსებული ნარჩენების სიმაღლის მიხედვით. იმ ადგილებში, სადაც ნარჩენების მასა 15 მ-ზე ნაკლები იქნება, გამოყენებული იქნება დამცავი გეოტექსტილი მასა/ფართობით 800 გ/მ², ხოლო 15 მ-დან 25 მ-მდე ნარჩენების მასის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება გეოტექსტილი მასა/ფართობით 1,200 გ/მ². გეოტექსტილის ფენა დამაგრდება გვერდითი ფერდის ზედა ნაწილზე.</p> <p>ზედა საიზოლაციო სისტემა</p>
--	--	--

	<p>ნარჩენების განთავსების ობიექტის ზედა საიზოლაციო სისტემა ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ნარჩენების მასაში ნალექების შეღწევის და ამრიგად, შემდგომი გამონაჟონის წარმოქმნის თავიდან აცილებას, ხოლო მეორე მხრივ, გაუმტარი მინერალური ფენის საშუალებით უზრუნველყოფს ნარჩენების განთავსების ობიექტზე წარმოქმნილი აირების ინკაფსულირებას, რომელიც შეგროვდება და შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. გარდა ამისა, რეკულტივაციის ფენის საშუალებით, მოხდება ნარჩენების განთავსების ობიექტის ინტეგრირება გარემომცველ გარემოში.</p> <p>ზედა საიზოლაციო სისტემის განთავსება დაიწყება მას შემდეგ, რაც ნარჩენების უჯრედების გარკვეული სექციები დაიხურება ნარჩენების განთავსებისთვის.</p> <p>ზედა საიზოლაციო სისტემის დახრილობა იქნება მაქსიმუმ 1/3 (ვერტიკალური/ჰორიზონტალური). საბოლოო ზედაპირის დახრილობა იქნება 5% მოსალოდნელი დაწვევის შემდეგ.</p> <p>ზუგდიდის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ზედა საიზოლაციო სისტემა წარმოდგენილი იქნება შემდეგი ფენებით (ქვემოდან ზემოთ):</p> <ul style="list-style-type: none"> • გამათანაბრებელი ფენა • აირების შეგროვების (სავენტილაციო) ფენა • გაუმტარი მინერალური ფენა • სადრენაჟე სისტემა • გეოტექსტილის ფენა • რეკულტივაციის ფენა <p>ხელოვნური საიზოლაციო ფენა (გეომემბრანა) და შესაბამისად, გეომემბრანის დამცავი ფენა არ არის აუცილებელი „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №421 დადგენილების თანახმად.</p>
--	--

	<p><i>გამათანაბრებელი/აირების შემკრები ფენა</i> ნარჩენების საბოლოო ზედაპირი დაიფარება გამათანაბრებელი და აირების შემკრები ფენით. აღნიშნული ფენა წარმოქმნის გლუვ ზედაპირს შემდეგი საიზოლაციო ფენისათვის. გარდა ამისა, ის ფუნქციონირებს როგორც აირების შემკრები ფენა. მისი სისქეა 0.50 მ. ამ ფენისთვის გამოყენებული იქნება ხრემოვანი მასალა.</p> <p><i>გაუმტარი მინერალური ფენა</i> გაუმტარი მინერალური ფენა შედგება კომპაქტირებული თიხის ფენისგან, რომელიც უნდა განთავსდეს ორ შრედ, თითოეული 25 სმ სისქით. მთლიანობაში გაუმტარი მინერალური ფენის სისქე უნდა იყოს მინიმუმ 0.50 მ, დამონტაჟების შემდეგ. გაუმტარი მინარეალური ფენის წყალგამტარობის კოეფიციენტი უნდა იყოს 10^{-9} მ/წმ-ზე ნაკლები.</p> <p><i>სადრენაჟე სისტემა</i> აღნიშნული ფენის საშუალებით მოხდება ნალექების დრენირება რომლებიც ხვდება ზედა საიზოლაციო სისტემის ყველაზე ზედა, რეკულტივაციის ფენაზე. სადრენაჟე ფენის სისქე იქნება 0.50 მ-ზე მეტი. ამ ფენისთვის გამოყენებული იქნება ხრემოვანი მასალა. მისი წყალგამტარობის კოეფიციენტი იქნება 10^{-3} მ/წმ-ზე მეტი.</p> <p><i>გეოტექსტილის ფენა</i> გეოტექსტილის ფენა განთავსდება სადრენაჟე სისტემის ზემოდან. აღნიშნული გეოტექსტილის ფენის საშუალებით მოხდება რეკულტივაციის ფენიდან მარცვლოვანი ნაწილაკების სადრენაჟე სისტემაში გადაადგილების თავიდან აცილება.</p> <p><i>რეკულტივაციის ფენა</i></p>
--	--

		<p>რეკულტივაციის ფენა (ნიადაგის ზედა ფენა) წარმოადგენს ზედა საიზოლაციო სისტემის საბოლოო ფენას. მისი სისქეა 1.0 მ. აღნიშნული ფენა შედგება ბალახის და ბუჩქებისგან.</p>
30	<p>გარდა ამისა, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში მოქალაქე აპოლონ დანელიას მიერ, წარმოდგენილია განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ: 43.26.42.642 მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის მიწის ნაკვეთზე ზემოქმედებას ახდენს ნაგავსაყრელი და ითხოვს მის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის გამოსყიდვას ან/და სხვა მიწის ნაკვეთში გაცვლას. გიგზავნით მოქალაქე აპოლონ დანელიას მიერ წარმოდგენილ განცხადებას, გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და გვაცნობოთ თქვენი პოზიცია.</p>	<p>ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის მიმდებარედ საკდასტრო კოდით 43.26.42.642 მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ქალბატონ ია დანელიას, წარმომადგენლის ბ-ნ აპოლონ დანელიას საჩივარი მიღებულ იქნა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ“ 2020 წლის 31 აგვისტოს. კომპანიამ განიხილა საჩივარი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ქალბატონმა ია დანელიამ მიწის ნაკვეთი საკუთრებაში 2013 წელს შეიძინა, ნაგავსაყრელი ოფიციალურად 2010 წლიდან ფუნქციონირებს. შესაბამისად, მოქალაქეს უნდა ჰქონოდა გონივრული ეჭვი მის მიერ შესაძენი მიწის სავარაუდო დაბინძურების შესახებ. მიუხედავად ამისა, კომპანიამ ნარჩენების განთავსების ობიექტის მიმდებარედ ბუფერული ზონის შექმნის მიზნით მიმართა შესაბამის სტრუქტურებს, მათ შორის ქ. ზუგდიდის მერიას, ქ-ნ დანელიას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჩასანაცვლებლად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწით. ქ. ზუგდიდის მერიამ წარმოადგინა შესაბამისი მიწის ფართობები ჩასანაცვლებლად, რის შესახებაც ეცნობა ქ-ნ დანელიას. ამჟამად მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარესა და შესაბამის უწყებებთან კოორდინაციის პროცესი.</p>